

ლიტერატურული გაზეთი

№86 16 - 29 ნოემბერი 2012

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ლია სტურუა

წონასწორობა?

ამ ქალაქს ვუყვარდი:
ქუჩებს, ძაღლებს, ტელეფონებს.
როგორ ვუსმენდი!
სიმფონიაში შეყვანილი გუნდით.
რა ჯდება ეს სიგიჟე, კი ვიცი,
მაგრამ თავიდან ისეთი ელვარეა,
ვერც თვალებს გამოაკლებ,
ვერც ყურთამენას,
მერე ტელეფონს ნომერს შეუცვლიან,
ქუჩას – სახელს,
მისამართი მომიკვდება,
თავის ტკბილი დოგმებიანად, -
მეხსიერების კერძო ნაწილი,
სადღაც, შაკიკის რაიონში
ერთი შუბლის მანძილზე
სოციალური ქსელიდან...
დედა, სად ხარ? თუნდაც, მაშინ,
ფანჯრებს რომ აკრიალებ, ზამთრის მზესავით?
ეს ყველაფერი სად წავიდა?
ქვეტექსტში, არაცნობიერში?
თუ მე გამომაკლეს, როგორც
ზედმეტი სიხარული,
გაძლების ნიჭი რომ აღმომეჩინა?
დაპირისპირების არა,
ამისთვის ცელსიუსის რამდენიმე
გრადუსი დამაკლდა,
წონასწორობა უფრო მორგებული სიტყვაა,
თითქმის, ვერტიკალური,
უფრო გამოსადეგი თავის მოსატყუებლად.

II

ბათუ დანელია

ბავშვობის ადგილავი

ეს ის მუხაა, მე რომ მომცა ყვავის ძმისროლი,
ხოლო თევზი რომ შემაბრალა – ეს ის ტბორია,
მაყვლოვანი კი, სადაც ცხენმა გადამისროლა,
ისევე არის ბელურების სანატორია...

დავალ, ყველაფერს ვეხვევი და გულში ვეკრობი,
ისევე მესმის ბალახის და ბაოს არია...
შიშველ ფეხებს რომ მიკოცნიდნენ მაშინ ეკლები,
ახლა ჩაცმულებს როგორ მჩხვლეტენ – საოცარია.

ქაზა

სამყაროს ვეძებ ახალს და (ძველი მომწყინდა)
ყველაფერს ვაღებ დახურულს,
დახშულს, დაკეტილს,
სულს სივინროვე მიხრჩობს და ჩემივ ხორციდან
მინდა რომ შევქმნა მთვარის, ან მარსის მაკეტი
და იქ ვიციხოვრო ახალი რობინზონივით,
ლოდინის ზიდვით მეტკინოს ძვლებიც ლავინის,
გუშინ სამყარო ჩოხისებრ მოვიზომედა
არ ჩამეტია და ისევ ჯვალო ჩავიცივი.

ჩრდილში მყოფელთა შესახებ

ნიავე ფოთლით ლოყებს გვილოკავს,
როგორც ირემი ლოკავს ქვამარის –
თითქოს გვასწავლის თავის კილოკავს,
რომელიც ისე ტკბილი რამარის,
როგორც სილურჯე მწუხრის კამარის,
ანდა – ჩიტების დილის ყრილობა,
ლამის ნარჩენებს რომ ასამარებს...

ღმერთო, რამდენი კარგი რამეა
დასაბამიდან ჩრდილში მყოფელი,
ჩვენ კი შევხარით ფონოგრამიან
მომღერლებსა და პირველყოფილი
მშვენიერების ანფას-პროფილი
არ გვახსოვს, თითქოს, თავი შხამიან
დავინყებაში გვაქვს ჩაყოფილი...

IV-V

თავიდან როგორ აგაშენო?
 ნეკნიდანაც არ გამოვა,
 თუმცა მარილიც მეყოფა
 და ტყუილიც,
 ახაგაზრდობის ფოტო,
 გუშინდელ ხორცზე შემდგარი,
 უფრო იოლად ეწერება
 სიზმრის ფაქტურაში,
 ახლა, გარემო:
 ჰაერში კავკასიონს შევურევ,
 უთოვლოდ, ჩემთვის არ მინდა?
 ფუტკარსაც ვერ ავცდები,
 ყველა მცენარეში თაფლის მასალას იპოვის
 და ისევ მოგკლავს.
 რა ვქნა? სინონიმების ლექსიკონში
 შაქარი კარგი სიტყვაა.
 ლექსივით რომ გამოგიგონო?
 თან ზაფხული უნდა იყოს,
 როცა დღე კი არ გიკვდება,
 თავდება,
 მზის ბეჭედს უსვამს საბუთის ბოლოში...

არავითარი სახლი-ციხე!
 მთავარი კალაპოტი თავშია.
 სავარცხლების გვირგვინიანი ტვინები
 სიმჭიდროვეში უფრო ჩანან,
 თავს იმკვიდრებენ, მე რა ვქნა?
 ზღვა რომ შევეშუშა თავში,
 კალაპოტს კი გატეხავს,
 მაგრამ გარედან რომ ზღვაა,
 შიგნით – სისხლის უმართაობა.
 აღარ მინდა ასე სიკვდილი!
 ტვინის ადგილას – წითელი ხორცი,
 ბევრი, გულწრფელი,
 კარაქნასმული ლოგიკასავით..
 ისიც ასევე: კი არ მომიკლეს, გამოუქმეს!
 დიაფრაგმაში ადგილი ჰქონდა ჩემთვის
 მთლიანად ვეტეოდი (ზომა 38)
 ქიმიით ამომავდეს,
 სხვა ორგანოებთან ერთად,
 ზღვა, მაინც, გადაესხათ,
 სისხლი, უკვე, უჯგუფო იყო,
 თანაგრძნობის თეთრი კრუხები უტემპერატურო
 ელექტრონი გვექონდა საერთო,
 მავთული გადამიჭრეს
 კბილიდან თუ იყო ამოქაჩული,
 ისე მეტკინა...

ლია სტურუა

სვეტები უღლებების, განტოლებების
 ხედი კი აქვთ ზემოდან,
 მაგრამ არა პეიზაჟი, აბსტრაქცია:
 მაგია რომ ნაშალო
 და მის ფეხებზე პური შეაყენო
 არაფერზე არ დევს, არ იჭმევა,
 მარტო სიმძღვრის შესაძლებლობით გამშვიდებს...
 სტროფის წვერიდან გადახტი,
 თუ გინდა, თავი გაიხეთქე!
 სისხლის ანალიზებში მოკვდები,
 შედეგებული ლექსით დაგიმახსოვრებენ
 რა სწორი სიტყვები გქონია თავში
 ღმერთისა და სტრიქონის მიმართ!

ნაპროზი

თვლებით გეხვევი
 ხელები დაკავებული მაქვს:
 ნევროზის ნაკვერჩხლები მიჭირავს,
 ცეცხლს კი ველარ აჩადებენ,
 ვერც მე მანახშირებენ,
 მარტო დამწვრობას მიტოვებენ
 შემდეგ შემოტევათმდე,
 გაფოთლილი ვარ შემოდგომის ხესავით.
 სიბერწე არ არსებობს,
 ფოთოლს მოგანყვეტენ ხელიდან,
 თუ შვილს მუცლიდან,
 რაც სალი და ოვალურია
 დაგრეხილი ნევროზისგან განსხვავებით,
 ყველაფრის დედა თუ არა,
 მეურვე, მაინც ხარ,
 სიტყვებიც აქედან იჩეკება,
 ცოცხალი თუ დაგტოვებს,
 — 7 დიოპტრიით, ვილას მოეხვევი,
 ან როგორ დაინახავ?
 ქვები რომ გაუგიჟდება,
 იმ თირკმელით?
 უმუხტო დიეტაზე დაგსვამენ
 და ტროპიც აღარ გამოგივა,
 ისე დაგმარხავენ
 როგორც ელექტრობას ამინებენ...

ხანძარი

ბგერა, ზოგჯერ, ხმას არ მოყვება,
 აზრისკენ არის, რომელიც მონადირეა,
 ნითლად მონიშნულ გუმანზე.
 მე რომ გრამატიკით ჩავერევი
 და ამ ყველაფერს
 ჰარმონიისკენ წავეყვან,
 ვინ წაიკითხავს?
 აი, ნავთი რომ გადავისხა
 და ცეცხლი წავეიკიდო,
 ამას უყურებენ, ეს მოსწონთ,
 მონანილეობა, როგორც
 რომელიმე ხარისხის დამწვრობა...
 — სისხლის რეზუსი მტკივა-მეთქი
 და გიჟი კი არ ვეგონები,
 ხალხი თავისი მოდენებით მოვა,
 დადებითი ზოგადი სახით,
 რომელსაც ვუთბობ
 და ტაშის ბოლომდე ვანთივარ
 მერე, ისევ, სოროში, ისევ, მარტო
 ჩამქრალის მორჩენა უფრო ძნელია,
 ვიდრე დაჭრილის
 და თუ სტიქიური უბედურება
 მაქვს თვალეში?

ვინ იცის ეს?

მე მოვედი შენთან,
 როგორც ბავშვობის სახლში,
 სადაც ზამთარი გაციებული რძესავითაა,
 როცა გინდა, გაათბობ
 წვიმას კი გამხდრები უფრო უხდებიან,
 რომ დარბიან, ოქროს კოჭები უჩანთ,
 არქიმედეს წერტილი აქვთ ასეთი,
 ცივი რძე უსაყრდენოა,
 სანამ თეთრი სილურჯეში გადასდის,
 ნაღებისკენ რომ წავა,
 რალაც დედობრივ სტატუსს მიიღებს,
 ძროხას რომ ქვა ჩააყლაპო –
 მოცულობა გაუმყარო...
 აკეთე და აკეთე სტიქიები!
 შეაყენე ამ პედესტალზე!
 დახატე ძალიან პირობითი ქვეყანა;
 მწვანე ლაქები – გამხდრები წვიმაში,
 ოქროს კოჭები – სამხრეთის ლიაობა
 და ვირბინოთ წრეზე
 უკუთხო ოთახების, დედამინის, გლობუსის!
 რომელია ჩვენ ორში მკვდარი,
 რომელი ცოცხალი? ვინ იცის ეს?
 ვაშლის ბორბალმა, ბრინჯაოს სტიქიებმა?
 ბორბალი ყველას დაგვატრიალებს
 და მერე გადაგვივლის.
 ფარგლის წვერიდან სისხლი წვეთავს...





ბათუ დანელია

„ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ ამბავს, ზამთრისაგან შემოთვლილს, შიშის საზომებით ვზომავდით, მაგრამ გაზაფხული შემოდის, როგორც ნავთსადგურში ხომალდი.

ველარ ვაშომშინებთ შეგრძნებებს, მალე, მეტრფესავით გიჟმაჟი, რასაც მიმოზეზი შეძლებენ, ჩვენ ვერ გავაკეთებთ სიზმარშიც.

ნახვა საპატარძლო ატმისხის – ტანში გააფრთხოლებთ ტერასებს, ნუში დესანტივით გადმოსხამს ქათქათას – მთანმინდიდან ვერაზე...

კარში ყველაფერი გამოვა, კვირტი შემოგვაყრის ცინცხალებს და, ვით ოხშივარი სამოვარს, მინას აღმოხდება სიმწვანე...

გარს კი, ომებია კაცთადა სისხლი, ტბორებივით დამდგარი, ზამთარს გავაცვილებთ ქანცმგარსს, მაგრამ არ მთავრდება, ასმაგად მძლე და უსასრულოდ გამხდარი, „ჩვენი მღელვარების ზამთარი“!

ფიქრი ქარში რკალიდან „ART ე კ ლ ე ბ ი“

ქარი ვარო და ფინლების ჯოგებს მოდენის და ყოვლისა და ყველაფრის – ლამობს ანეწვას. როცა ჰქრის, მინდა თითები მქონდეს როდენის და თიხა მედოს წინ – ქარის გამოსაძერწად...

ცხენები ქარის მონეტებს ადრიან ნალებს, გვალვები ქარის ფოსტიდან წყაროს ელიან... ჩემში კი ქარი – თაფლია ადრენალინის, ერთერთ ზურგზე რომ შემისვამს კარუსელივით...

ქარისთვის ცისქვეშ ყველაფერს სახელური აქვს და თუ ბიჭია, ვილაცამ რამე გაბედოს! — ქარს არასოდეს ეცვლება სახე ველურის, სულ პირველყოფილს აქროლებს თავის ჰაბიტუსს...

დილის დილიქანსი ანუ დილატაციი

ადამიანებს არ ჰყოფნით დილა, უნდათ, როგორმე, შუადღემდე მაინც გაგრძელდეს, რადგან ზოგს რძეზე აგვიანდება, ზოგს – სამსახურში, ზოგსაც – დილის მატარებელზე, და სწორედ დილა რომ არ ჰყოფნით, იმიტომაც აგვიანდებათ და სურთ წერილი მისწერონ ღმერთს და სთხოვონ, დილა რომ გააგრძელოს... ადამიანებს არ ჰყოფნით დილა, თუმცა ექცევიან ძალიან ფრთხილად, და ლოგინებში სიყვარულის მშვენიერ საქმით რომ დაკავდნენ, იმის მაგიერ უთენია უნვეთ ადგომა, რა ქნან, არასდროს არ ჰყოფნით დილა, თუმცა ექცევიან ძალიან ფრთხილად, სურთ შუადღემდე მაინც გაგრძელდეს, ან ეს შუადღე საერთოდ რა საჭიროა, ხომ შეიძლება საღამომდე გაგრძელდეს დილა, ან ეს საღამოც რა საჭიროა, რა საჭიროა მზის ჩასვლა და შემოღამება, ხომ შეიძლება დილა იყოს შუალამემდეც,

ან შუალამეც რა საჭიროა, ხომ შეიძლება... მოდით, დილა იყოს დილამდე, რათა მოასწრონ ყველაფერი: სექსიც, რძის ყიდვაც, თმის დავარცხნაც, და სამსახურში დროზე მისვლაც, მისწრებაც დილის მატარებელზე, რადგან არასდროს არ ჰყოფნით დილა – უცებ იყრება ცარგვალზე ლილა, ციდანაც უცებ, აწყვეტილ ლილად, მზის, სისხლიანი, გორდება თავი და უცებ ხდება თეთრი დღე – შავი, უცებ ეწნებათ სიკვდილის სილა, უცებ შორდებათ თებრო და ილა და იკმაზება უცებვე შილა, ანუ – ცხვირსახო-ციანი ფლავი... და არაფერი არ ხდება ტყვილა – ტყვილად როდი ცივა და თბილა, ტყვილად თიხა არც ღმერთმა ზილა, მაგრამ ქვეულებს კენტად და წყვილად, ადამიანებს არ ჰყოფნით დილა, რომელიც არის სამყაროს კბილა, თუმცა ექცევიან ძალიან ფრთხილად, უცებ იყრება ცარგვალზე ლილა, უცებ ეყრება ერბოსაც ქილა... უცებ ეწნებათ სიკვდილის სილა – ადამიანებს არ ყოფნით დილა!

ადამიანებს არ ჰყოფნით დილა!

საღამოდაუპიწყარი

გაცეკერი ცხოვრებას, ტალახში ბალამოსკრილს და ხსოვნა იელვებს ბავშვობის საღამოსი: დღე, თითქოს, მომკილი პურივით შეგვიკონეს... მტირალი ბიჭუნა – ვეხუტე ბებიკონას და, როგორც წერილი ომიდან მონერილი, ღრუბელი მოჩანდა ძალიან მოწყენილი, კოპიტზეც მოწყენით ეკიდა საქანელა, საღამოს – მინდვრიდან მოჰყავდა საქონელი და მწყემსის ძახილი ისმოდა მოშორებით, ძროხების ბლავილზე ტიროდნენ ბოჩოლები, დედა კარს უღებდა ლამაზას ბოჩოლიანს და ბებოს ალერსის გზა – ჩემი ქოჩორია, შაშვმა კი ჩიჩაყვი სუროდან ისახელა, ხეებზე გიშრისფრად ღუოდა „იზაბელა“, ნიავის ხელები ეძებდნენ დასაყრდენებს, ჭრიჭინებს ელოდნენ ფოთლები „სასარკმელე“ ... და ფითრსაც არ სურდა სახელი პარაზიტის... და გულიც ამ ხსოვნას ელევა არასოდეს.

განჭკრება მშვენიერად

შენ მაშინაც მშვენიერი ხარ როცა ბაზრიდან ბოსტნეულს სავსე ცელოფნის დიდი პარკებით მოდიხარ

შენ მაშინაც მშვენიერი ხარ როცა სადილის მომზადების და სამზარეულოს დალაგების შემდეგ სადარბაზოს კიბესაც ჰკვი

შენ მაშინაც მშვენიერი იქნები როცა ლოგინზე გამოჩნდები თავდაყირა მდგარ გამოლილ ფარგალივით თითქოს ჭკრზე წრე უნდა შემოხაზო

შენ მაშინაც მშვენიერი იქნები როცა ასი წლის შემდეგ კუბოს ვაკუუმს ამოავსებ და ყვავილებს შენთან ყოფნა არ მოუნდებათ რატომ უნდა დავიჩავროთო

შენ მაშინაც მშვენიერი იქნები როცა საფლავის შავ ლანგარზე ჭიები ჭამის მაგიერ კოცნას და ალერსს დაგინყებენ

შენ მაშინაც მშვენიერი იქნები როცა მილიონი წლის შემდეგ შენი საძვალის მინას მოზუელენ და მისგან მე გამომძერწავენ და ჩემ ნეკნიდან შენ გაგაჩენენ

იღუმალების მკაბელი

ზოგი შეხარის მზის და მთვარის უნაზეს ბაკმებს... სხვებმა სიცრუე განადიდეს, სიმართლე დაგმეს და რომ, სხვებივით, საარსებოდ მოვედი აქმე, სხვებივით უნდა გავაკეთო რაიმე, ალბათ, მაგრამ რა, როცა ომეგაში მერევა ალფა! - როგორღა უნდა გამოვნახო აქ ჩემი საქმე, როდესაც წისლი მეჩვენება ქედების სკალპად!

ვერაფერს ვუგებ ამ ჭანჭიკებს, ონკანებს, დგუშებს, ჩემ სიახლოვეს, მაგათნაირს, არაფერს ვუშვებ... იღუმალეზავ, სულ შენ უნდა გეძებო, სულშენ... სხვები ელოდონ მონიტორინგს, რევიზორს, გოდოს... ყველამ აკეთოს ის, რაც უნდა: იმღეროს, სცოდოს... მე ვარსკვლავების სურნელება ვიგრძენი სულში და ეს მახარებს, როგორც ძუძუს დანახვა თოთოს...

ორი ღოგოსი ლია სტურუსი

1. წარმოსახვა
რაკი ყოველივე წარმოსახვის ხარისხსა და დონეზე დამოკიდებული – კაუჭა ჯოხიც არ გჭირდება, არც სანერ მაგიდაზე შედგომა, არც ფეხის წვერებზე აწევა, უბრალოდ აიშვერ კალმთან ხელს და, შუბზე წამოგებულვით ჩამოიღებ ელვას, როგორც ბავშვობის ხეზე გარჩენილ ყელსახვევს, და სამშობლოს დაკბილულ საზღვრებს შემოახვევ ჩინურ კედელივით...

2. რითმის ხიბლი და აბსურდი
რატომ ვერა ძლებს ვეფხვი უშამბოდ რატომ უხდება სუფრას მუშამბა და რატომ ჰქვია ქალაქს დუშამბე

მინდოროვი

მითხარი, გვირილავე, ანდა შენ, ყაყაჩორავ, გონს მოდი, პეპელას ამბორით გულწნასულო, მაგ თეთრი კაბით რომ ამდენხანს გამაჩერე, მითხარი, ეს მინა რად ბრუნავს უსასრულოდ?!

გავყურებ საძოვარს, უთვალავ ნიკორიანს, ნეტავი, მათ შორის ვნახავდე საზრიანებს, რომლებიც მეტყვიან, რომ მინა – ჩიკორია და ვილაც, დღედაღამ, ბავშვივით აბზრიალებს.

კაცი-ღორები

ეჰ, განა საოცი – ღორების სილორეა, სილორე მხოლოდლა კაცისა გვაოცებდეს! და კაცი-ღორისთვის უცხოა სიყვარული, თან ხშირად აგინებს სტალინს და მათ ძედუნს,

რომ იმით თავისი ღორობა გადაფაროს... – ვერ ძლება ნოყიერ მიწების არენდობით... და კაცი-ღორებით სავსეა მთადაბარი, ისინი ჭამაში შვილებსაც არ ინდობენ...

და ყველა მათია მედლები, ორდენები, პოსტი და ჩინი და, აგიჟებთ კარიერა, მსოფლიო იხრჩობა მაგათი ოდენობით, – სუყველგან მათი გზა, სახლი და კარიარი...

და კაცი-ღორები ღორებსაც აჭარბებენ, ერთურთს კი ლანძღავენ, ღორივით მსუნაგობო. მათ არსად არ უნვეთ სირცხვილით აჭარხლება და ბრძოლაც მაგათთან სულ არის უნაყოფო...

კაპრიზო ვილინოსა და გვალვის თანხლებით

აკი კარში ჩვენც გამოვსულვართ, ხელში უხილავ უქონლობის ვიოლინოთი, და გაფურჩქნილი უიმედობა, ზამთრის დათოვლილ ბალივით, ჩვენც გვქონია გარს მოვლებული და ფეხმომტვრეულ კონტრაბასის და ტუმბოტეხილი ფლეიტების ქუდებში ცრემლის მონეტები ჩვენც ჩაგვიგდია, შინ კი, ალვის ხის სიმშრალეჩამდგარ ფილტვებითაც დავბრუნებულვართ და, როგორია, ვახშმის მაგიერ, ნაგაკითხონ ბებერ ბატის მემუარები...

— თურქეთის მსგავს დესპოტურ ქვეყანაში, სადაც ადამიანი არ ფასობს, რწმენისათვის თავგანწირვა სისულელეა. მაღალი პრინციპები, რწმენა — ეს ყველაფერი მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა ხვედრია, — არწმუნებს ერთი პერსონაჟი მეორეს, მაგრამ მიუხედავად მისი პოეტობისა და ავტორიტეტისა, ის მეორე, ეროვნული ტრადიციების რღვევით შენსებული და ამ რღვევის წინააღმდეგ ანთებული ქალი, არ იზიარებს ამ შეხედულებას და კვლავ თავისი მისწრაფების ერთგული რჩება:

— პირიქით, ღარიბ ქვეყანაში ადამიანს რწმენის გარდა სასუგეშო არაფერი რჩება.

— კარგი პოეტი რეალობის შეგრძნებას არ უნდა კარგავდეს, მაგრამ ამავე დროს ამ რეალობამ პოეზია არ უნდა გაუფუჭოს. სწორედ რეალობის შეგრძნების ფარული მუსიკა იქნება მისი ხელოვნება, — ეს პერსონაჟის ზოგადი შეხედულება კი არ არის, არამედ — მისი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი, რადგანაც ეს პერსონაჟი პოეტია, თანაც საკმაოდ კარგი პოეტიც, ვისთვისაც მხატვრული სამყარო სულიერი მოთხოვნებიდან და არა მარტოდენ პროფესიის, თორემ მაშინ ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ წარმატებული დებიუტის მერე ოთხი წლის განმავლობაში ერთი ლექსიც არ დაენერა, შემდეგ კი ერთბაშად მოზღვაგებოდა პოეტური სათქმელი.

პოეტი-ხელოსანი რომ ყოფილიყო, იოლად გადაანანილებდა სათქმელს და ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ რადგანაც ნამდვილი პოეტია და იდუმალებიდან შოულობს საზრდოს, მისი ცხოვრების ყაიდასაც ირაციონალური განსაზღვრავს და პირადად მასზე აღარც ჰკიდია ლექსის შექმნა-არ-შექმნა.

აგერ, ჰგონია, ნიჭი დამეშრიტა და აღარაფრის დამწერი აღარ ვარო.

და აგერ, უკვე წამდაუნუმ ფურცელი და კალამი აქვს მომარჯვებული და კაფეებშიც შეუძლია შემოქმედებით პროცესში ჩაიხიროს.

იმ ოთხ წელიწადს გერმანიაში გადახვენილიყო, და თუმცა იქ ეს დრო ფუჭად არ გაეტარებინა და ზიარებოდა თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურულ-კულტურულ მიღწევებს, პოეტური ძარღვი მოუდუნდებოდა და ხელოვნურად კი არ მონდომებდა მის ჩანაცვლებას მექანიზებული ძარღვით, ვიდრე მშობლიურ თურქეთს დაუბრუნდებოდა და კიდევ უფრო მძაფრად შეიცნობდა და შეიგრძნობდა იმ სატიკვარს, რასაც მისი ქვეყანა გაეთანგა და გამოსავლის ძიებისას უმწვავესი შეტაკებანიც ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარიყო, სულაც სამხედრო გადატრიალებით რომ უნდა დაგვირგვინებულიყო.

ეს უკვე მის თვალწინ.

და პოეტ კას ის ხანმოკლე თავგადასავალი უნდა გადაიტყეს სიუჟეტურ ქარგად ორჰან ფამუქის რომანისა „თოვლი“, ბედისწერის მიჯნაზე შემდგარი ქვეყნის მხატვრულ ქრონიკად, შეტყობინებად დასავლეთისათვის, თუ რას წარმოადგენს თურქეთი „შიგნიდან“ — პოლიტიკურ მისწრაფებათა, დიპლომატიურ ურთიერთობათა მიღმა, თავისი თვითმყოფადი სახითა და სულიერი რყევებით.

ნეტა პოეტი კა სულაც ავტორის ალტერ ეგოდ ხომ არაა ჩაფიქრებული?..

ყოველ შემთხვევაში სწორედ მან უნდა გაამჟღავნოს ის თემები და პრობლემები, რაც ფამუქისათვის ასერიგად მნიშვნელოვანია.

და გაამჟღავნოს რეალობის შეგრძნების ფარული მუსიკით.


არადა, ორჰან ფამუქის სახელს ის რომანი უფრო დაუკავშირდებოდა — „მე ნითელი მქვია“, როგორც ნობელიანტი თურქი მწერლის ერთგვარი სავიზიტო ბარათი — ყველაზე უკეთესი გამოხატველი მისი მსოფლმხედველობისა და საგულისხმო განაცხადიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეპირისპირება-მორიგების ძიებისას, უამრავი გონება რომ დამაშვრალა ამ ურთულესი, უმწვავესი პრობლემის გადასაჭრელად და კიდევ ბევრი გონება შეაწყდება ამ თავსატეხის გამორკვევასა და მოგვარების მცდელობას.



როსტომ ჩხეიძე

თეატრალური გადატრიალება

ორჰან ფამუქის რომანი „თოვლი“



„მე ნითელი მქვია“ — თავისი დეტექტიური, ჩახლართული სიუჟეტით, ორიგინალური არქიტექტონიკით, მრავალფეროვანი, გამოკვეთილი ხასიათებითა და ღრმააზროვანი განსჯით ამ უმწვავეს პრობლემას მთელი სიგრძე-სიგანითაც წარმოგვისახავს და საკმაოდ ექსპრესიულადაც, და გასაკვირი სულაც არ არის, ეს რომანი მნიშვნელოვან ქმნილებად რომ აღიარეს, თუმცა... სრულყოფილების მხრივ მთლად ისედაც ვერ უნდა ბრწყინავდეს, რომ თუნდ ორჰან ფამუქის შემოქმედებაში ყოველი უმჯობესად დაგვესახა — საკმაოდ ჭიანჭურდება (რაც მხატვრული ნაკლი უფროა, ვიდრე რაღაც საგანგებო ჩანაფიქრი, ნასესხები ინტელექტუალური რომანის პოეტიკიდან) და მხატვრული ქსოვილიც პრობლემის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიურ განსჯას ენერება, პუბლიცისტური ელფერით შეზავებული.

თორემ აგერ „თოვლი“ უფრო სრულყოფილიცაა და უფრო შთაბეჭდილიც, რაკილა მხატვრული ქსოვილი გადარჩენილია ხელოვნური მინარევებისაგან, სატიკვარი და პრობლემა კი არანაკლებია — მძაფრი, შეურიგებელი დაპირისპირება ტრადიციულ, ისლამისტურ რწმენასა და ახალ, ლიბერალურ დოქტრინას შორის, მათმა ჭიდილმა კი კვლავაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეპირისპირებამდე უნდა მიგვიყვანოს, ეგაა, ისე თვალმისაცე-

მად არა, „მე ნითელი მქვია“ როგორც წარმოგვისახავს.

ჩვენი თანადროული მთარგმნელობითი ინტერესის გაღვივების წყალობაცაა, რომ ორივე რომანზე ხელი ქართულად მიგვიწვდება, თანაც ჩინებულ ვერსიებად: „მე ნითელი მქვია“ ლია ჩლაიძის მთარგმნელობითი ოსტატობის დასტურია, „თოვლი“ კი — ნანა ჯანაშიასი.

სამხედრო გადატრიალება, რაც ერთ მივარდნილ ქალაქში — სახელდობრ, ყარსში — ხდება, განზოგადდება არამარტო მთელი თურქეთის სახელმწიფოებრივ ყოფასა და ბედისწერაზე, არამედ შინაგანი პათოსიც ეხმაურება საკაცობრიო საფიქრალს.

გასაგები და ჭკუისსასწავლებელი რომ იყოსო. და ამიტომაც წარმოადგენდნენ ხოლმე კორნელის, შექსპირისა და ბრეტის პიესებს მუცლით ცეკვისა და უხამსი სიმღერებით შეზავებულს.

მთავარი გმირის — და თვითონ ავტორისაც — აღქმაში რეალობა ისედაც გარდაისახება თეატრალურ სანახაობად.

თეატრალიზებული მთელი ამ ამბის სულისკვეთებაა, მისი არსი არსთაგანია და მთავარიც ესაა, თორემ განა რეალობა მხოლოდ თეატრალურ შეფერილობას ღებულობს.

და პერსონაჟებიც უკვე აღარ განირჩევიან მსახიობებისაგან, იმისდა მიუხედავად, თვითონ აცნობიერებენ თუ არა თავიანთ როლსა და დანიშნულებას ამ სინამდვილეში.

უილიამ შექსპირის ზოგადი შეხედულება: ცხოვრება თეატრიაო, — ყარსის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში კიდევ უფრო მკვეთრი და თვალმისაცემი ხდება, კიდევ უფრო ნიშანდობლივი, კიდევ მეტი მანერულობით დალდასმული. და ქართველი პოეტის კვალობაზე ისიც კი შეიძლება განეცხადებინა: ჩემი სამშობლო — ოსმალეთი — სხვა თეატრიაო!..

ვისთვის ფამუქისეული გააზრება პირწმინდად მხატვრული მეთოდი შეიძლება აღმოჩნდეს, დასავლელი მკითხველი სხვაგვარად ვერც აღიქვამს თხრობის ამ სტილისტიკას, თუმცა ჩვენთვის ეს ყოველივე არამარტო ბუნებრიობაა, არამედ რეალიზმი სულაც ნატურალიზმს უახლოვდება, რადგანაც ჩვენს უახლოეს წარსულშიც შეგვიძლია დავადასტუროთ ზუსტად ასეთივე მონაცვლეობა.

აკი კიდევაც დაერქვა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მიჯნაზე მომხდარ სამხედრო ძალადობას „არტისტული გადატრიალება“ — ოთარ ჩხეიძის რომანის ეს სახელწოდება განსაზღვრავდა მის მხატვრულ მეთოდსაც და სტილისტიკასაც — სწორედაც მკვეთრად და თვალმისაცემად, სწორედაც ნიშანდობლივად, სწორედაც იმ მანერულობით, რეალობა ვერაფრით რომ ვეღარც გაგვიჩვენებია თეატრალური წარმოდგენისაგან.

სამხედრო გადატრიალება თბილისში ისევე მოხდებოდა მაყურებლის თვალწინ, როგორც ყარსში.

ორჰან ფამუქს რეალობა თვითონვე კარნახობდა ამგვარი სტილისტიკის არჩევას და, ცხადია, ვერ დაესესხებოდა მისთვის უცნობ ქართულ რომანს, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ლიტერატურულ მდინარეებში „არტისტული გადატრიალება“ წინ უსწრებს „თოვლს“ 8 წლით: ფამუქი თუ 2001 წელს დაასრულებდა თავის რომანს, ოთარ ჩხეიძეს 1993 წელს მოეთავებინა.

ლიტერატურულ მდინარეებში კიდევ სხვა ქართული რომანიც უსწრებს „თოვლს“, ის უკვე 24 წლით — 1977 წელს შექმნილი თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“, და ის უკვე თოვლის სიმბოლიკის მოშველიებით კომპოზიციური სტრუქტურის ასაგებად, ფარდასავითაც რომ ჩამოეფარება მოქმედებასა და მოქმედებას შორის და თითქოს იმისთვის მოვლენილა თოვლიც და წვიმაც, რომ დროდადრო ნაშალოს ხოლმე ბოროტების, ძალმომრეობის, დამორგუნველობისა და სხვა ათასგვარი სიმახინჯის კვალი.

ორჰან ფამუქი ამ მხატვრულ ხერხს რომ მიაგნებდა და სულაც სისტემად გაიზარებდა, საკუთარ აღმოჩენად მიითვლიდა, რაკილა აცდენილა ერთმანეთს სამწერლო პროცესებში თვით მეზობელ ქვეყნებს შორისაც — ფამუქისათვის ლამის მშობლიურია დასავლური სამწერლო ცხოვრება და დასავლეთისთვისაც კარგად ნაცნობი ხდება თურქი ნობელიანტის მხატვრული სამყარო, ჩვენი ლიტერატურული მიღწევები კი...

და როდესაც ფამუქი დამოუკიდებლად იპოვინდა თოვლის „მამოძრავებელ ძალას“ რომანის სიუჟეტის წარმართვისათვის, საფიქრებელია, რომ შთამაგონებელი თუ პირველბიძე ყოფილიყო ჯეიმზ ჯოისის მოთხრობის — „მკვდრები“ — ფინალი, როდესაც თოვლში იძირება მთელი ირლანდია და ერთნაირად ათოვთ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

თოვლის სიმბოლიკა განმსჭვალავდა „მკვდრების“ სიუჟეტსაც და სულისკვეთე-

ადამიანი უხსოვარი დროიდან მისწრაფოდა მხატვრული ნაწარმოებები შეექმნა ისტორიულ პირებსა და მოვლენებზე. ბუნებრივია, შემოქმედებითი პროცესი მოითხოვდა, რომ რეალურად არსებული ისტორიული პირების გვერდით განეხილათ გამოგონილი პერსონაჟებიც. რაც უფრო ნიჭიერი იყო მწერალი, მით უფრო კოლორიტულ და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიდა. ხანდახან ხდებოდა ისე, რომ ეს გამოგონილი გმირები უფრო პოპულარული ხდებოდნენ, ვიდრე ისტორიული პიროვნებები. ამის ნათელი მაგალითის წარმოადგენს ჩვენთვის კარგად ნაცნობი „სამი მუშეტყველი“. დღეს ზევსს რომ ჰკითხო, ვინ უფრო მოგწონს, მუშეტყველები თუ რიშელიეო, უმალ გეტყვის, მუშეტყველები და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან რიშელიე, რომელმაც საფრანგეთზე ზრუნვას შეაღია სიცოცხლე, რომანში გაშარჟებულადაა გამოყვანილი. სამაგიეროდ, ხოტბაშესხმულნი არიან ისტორიულად არარსებული ადამიანები: ათოსი, პორთოსი და არამისი. თურმე არც რიჩარდ მესამე ყოფილა ისეთი ტირანი, როგორც ის შექსპირმა დაგვიხატა და არც კარდინალი რიშელიე ჰგავდა რაიმეთი მუშეტყველების მიერ მრავალჯერ გაპაპებულ პერსონაჟს, მაგრამ ახლა ამაში ვილას დაარწმუნებ. შექსპირისა და დიუმას ნიჭმა ყველა ისტორიული არგუმენტი გადაწონა.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ქართული პროზის შედევრ „დიდოსტატის მარჯვენაზე“. ამ რომანში გამოყვანილი ზოგიერთი პირი საკმაოდ შორდება თავის ისტორიულ პროტოტიპს, დამახინჯებულია ისტორიული ფონი.

დავინწყით იმით, რომ ტერმინი ბიზანტია პირველად გერმანელმა ისტორიკოსმა ფულფმა იხმარა 1557 წელს. ბიზანტიონი პატარა დაბა იყო, რომლის ადგილზე აშენდა და შემდეგში გაფართოვდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი. იმპერიის არსებობის პერიოდში სახელი ბიზანტია საერთოდ არ ყოფილა ხმარებაში, აქედან გამომდინარე ვერც გიორგი I ეტყოდა პიპას: „მუდამ ბიზანტიელს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელი ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებსო“.

თავად გიორგი მეფის პორტრეტსაც მნიშვნელოვანი შტრიხები აკლია. გაურკვეველი რჩება, რატომ უწოდეს მას „მესიის მახვილი“ ან „უშიში ვითარცა უხორცო“. ნუთუ იმიტომ, რომ ზვიად სპასალარს მემამბონზე ხევისბერები გოდოლდებიდან გადააყრევინა? ან როგორ უწოდებდნენ „მესიის მახვილს“ „უნესო დედების“ მოყვარულ მეფეს, რომელმაც ურჩი ფეოდალის თავიდან მოსაშორებლად იმ ძელიცხოვლის ჯვრის მონამვლაც კი არ ითაკილა, თორნიკე ერისთავის ლაშქარს რომ მიუძღვოდა წინ?


არა, შინა ომებში გამოჩენილი მამაცობისთვის არ უწოდებიათ გიორგი პირველისთვის „უშიში ვითარცა უხორცო“. „დიდოსტატის მარჯვენაში“ კი სხვა ომების შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი. ნაწარმოებში ბასილი კეისრის მიერ სვეტიცხოვლის აგებაში შეტანილი წვლილის შესახებაც არაფერია მოთხრობილი. ეს ტაძარი კი სწორედ მისი ნაწყალობევი თანხით აშენდა. კეისარს არ დავინწყებია, როგორ დაუწოქა თორნიკე ერისთავს, როდესაც უშიშო ბავშვი იყო და ბარდა სკლიაროსი ტახტის წართმევი ემუქრებოდა, და როგორ გადაარჩინა ის ქართველმა მხედართმთავარმა. ქართველების მაღლიერმა კეისარმა მელქისედეკ კათალიკოსს კასტორის მონასტერი გადასცა 105 სოფლით და დიდძალი განძით, რომელიც შემდგომში წმინდანად შერაცხილმა მელქისედეკ კათალიკოსმა მთლიანად საეკლესიო მიწების შექენასა და სვეტიცხოვლის ტაძრის აგებას მოახმარა.

მელქისედეკ კათალიკოსი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული ადამიანი იყო ქართველ კათალიკოსთა შორის, რომლის შექმნილი სოფლების, დაბებისა და აგარაკების ადგილმდებარეობის მიხედვით, იმდროინდელი საქართველოს საზღვრების შესახებ, დღესაც ძვირფას ინფორმაციას იღებენ ისტორიკოსები. მან გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ კიდევ ექვსი წელი იცხოვრა. მეფის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე

კი ის კონსტანტინოპოლში გახლდათ, სადაც მას ეკლესიის შესამკობელი მრავალი ხატი, ჯვარი და სამღვდელმთავრო სამკაული გადასცეს. ამის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში „და იყიდა სოფლები ტაოს: ზედკარეკი ხუთითა აგარაკითა, და ძაღლის ხევს იყიდა სოფელი ოროთა სამითა აგარაკითა. ... და კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლოანი და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სხლოანი, აგარა მისი ნაღვარევი და ჯავახეთს მოიგო სოფელი დიდი ოროტანი აგარაკითა და ფარავანს ააშენა სოფელი ერთი მახაროვანი. და საკოეთს შეიპყრნა და ააშენა სოფელნი

თემურ გაბუნია

ისტორიული პროზის პარადოქსები



ორნი და ნაქალაქევი და ბერდაძონი და დაუდვა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა“.

აი, როგორი ენერგიული იყო მელქისედეკ კათალიკოსი, „დიდოსტატის მარჯვენაში“ კი ის გამუდმებით ავადმყოფობს და ოთხი ბერის დახმარების გარეშე უნაგირიდან ჩამოსვლასაც ვერ ახერხებს. საინტერესოა, თუ ასეთი უძლური იყო კათალიკოსი, გიორგი მეფის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე როგორ შეძლო ასეთი საქმეების აღსრულება?

დღე ვაჟაკობას მოითხოვდა სვეტიცხოვლის ტაძრის აგება მცხეთაში, როდესაც სულ რაღაც ოციოდე კილომეტრის მოშორებით თბილისში არაბები ბატონობდნენ. ეს მხოლოდ „მესიის მახვილად“ წოდებული მეფის ზეობის დროს შეიძლებოდა მომხდარიყო. არც ბასილი კეისრის იმპერიასთან ომი უნდა ყოფილიყო ადვილი, რომელიც „ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, რაც კი ოდესმე არსებულა მთელს მზისქვეშეთში“ (მარლ დილი „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“). ეს იმპერია აერთიანებდა ოცი სხვადასხვა ენოქონების ხალხს. მისი საზღვრები გადაჭიმული იყო „ერთის მხრივ, დუნაიდან სირიამდე, მეორეს მხრივ, კი იტალიის სანაპიროებიდან სომხეთის ზეგანამდე“ (იქვე). სირიაში, ანტიოქიასა და პალესტინაში ლაშქრობების შემდეგ იმპერიის საზღვრებმა „თვით იერუსალიმის ბჭეს მიიღწია“. მისი საზღვრების გასწვრივ განლაგებული ვასალური სახელმწიფოები კი „მთელ მსოფლიოს გადასცემდნენ იმპერიის პოლიტიკურსა თუ კულტურულ გავლენას“. ბასილი II-ს ზედმეტსახელად „ბულგაროქტონოსი“ (ბულგართმუცლელი) ერქვა. მან ეს სახელი ბულგარელების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკის გამო დაიმსახურა. ბულგარელებთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში მან მტრის თხუთმეტი ათასი მეზობლი დააბრმავა, ყოველი ასეულიდან ოთხმოცდაცხრამეტი ორი თვალით, ხოლო ყოველი მეასე — ცალი

თვალით. ცალთვალა მეომრებს დაბრმავებული მეომრები თავთავიანთ ქალაქებში უნდა დაებრუნებინათ... ბულგარელთა მეფე უკან დაბრუნებული დაბრმავებული მეომრების დაწახვით მიღებული შოკისგან მალევე გარდაიცვალა.

აი, ვის ეომებოდა გიორგი I დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ დაკარგული ტაო-კლარჯეთის მიწებისთვის. მან ისარგებლა იმით, რომ ბასილი კეისარი ბულგარელებთან ომით იყო დაკავებული და 1014-1016 წლების ლაშქრობებისას ეს დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა. ეს ქართული მიწები თავის დროზე დავით

კურაპალატის ანტიიმპერიულ ამბოხში მონაწილეობის გამო დაიკარგა. ბასილი II-ს რამდენიმეჯერ აუჯანყდნენ ურჩი ფეოდალები. 976-979 წლებში მომხდარი ბარდა სკლიაროსის აჯანყება მცირეწლოვანმა კეისარმა სწორედ დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის დახმარებით ჩაახშო. თუმცა ბარდა სკლიაროსი ამჯერად უკვე ბარდა ფოკასთან ერთად 987-989 წლებში კვლავ აჯანყდა, ამჯერად დავით კურაპალატი ფოკას მიემხრო. ფოკა გადამწყვეტი ბრძოლის წინ მოწამლეს. ამბოხი წარუმატებლად დამთავრდა. ფოკასთან შეთქმული დავით კურაპალატი კი იძულებული გახდა თავის მემკვიდრედ კეისარი გამოეცხადებინა. სწორედ დავით კურაპალატის მიერ კეისრის ძალდატანებით დაწერილი ანდერძის გამო დაკარგული მიწები დაიბრუნა გიორგი I-მა 1014-1016 წლებში. ტაოს მიწების დაკარგვით განრისხებულმა კეისარმა 1020-1021 წლებში, ბულგარელების დამარცხების შემდეგ, გიორგი I-ის დასასჯელად გამოილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ შირიმთან გაიმართა, სადაც ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ლიპარიტ ბაღვაშის მამარატი. მაშინ საომრად აღიჭურვა და ბრძოლაში ჩაერთო თვით გიორგი მეფე „რამეთუ ახოვანი იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უხორცო“. მაშინ „მოისრნეს ბერძენნი ფრიად“, ქართველებმა კი დიდძალი ნადავლი წამოიღეს. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ ნადავლმა დაღუპა ქართველები.“ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდესო“, ნათქვამია „მატიანე ქართლისაში“. ნადავლს დახარბებული ქართველების სულმოკლეობით გათამამებული ბასილი II, რომელიც „სივლტოლად განმზადებულიც“ კი იყო, კვლავ შეტევაზე გადავიდა. თუმცა საბერძნეთში დაწყებული ქართული მიწების გამო მან ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა მინც ვერ გაბედა. უკან გაბრუნდა და ტრაპიზო-

ნის მახლობლად ხალდიას ქვეყანაში დაიზამთრა.

1021 წლის გაზაფხულზე ბრძოლები განახლდა. მართალია, ამ ბრძოლაში კეისარმა კვლავ გარკვეულ წარმატებებს მიიღწია, მაგრამ ეს არ იძლეოდა საქართველოსთვის საკუთარი მოთხოვნების უპირობოდ კარნახის საფუძველს. იმ დროს, როდესაც ბულგარული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო და აგრძელებდა ფუნქციონირებას როგორც დამოუკიდებელი საეპისკოპოსო, საქართველოს ეკლესია არა მხოლოდ საკუთარ, არამედ დროებით დაკარგულ ტაო-

კლარჯეთისა და კოლა-არტანის ტერიტორიაზეც კი ინარჩუნებდა საეკლესიო მიწებს, სოფლებსა და ეკლესია-მონასტრებს. გიორგი I-სა და ბასილი II-ის ზავის პირობებით ქართული ეკლესიის კუთვნილი მიწები და სოფლები ხელშეუხებლად ცხადდებოდა.

აი, ამას მიაღწია გიორგი I-მა, რომელსაც მემკვიდრე „მესიის მახვილს“ უწოდებს. „დიდოსტატის მარჯვენაში“ კი ის რწმენა-შერყეულ ადამიანად და მექალთანედ მოიხსენიება. რატომღაც რომანში არაფერია ნათქვამი ბაგრატ IV-ს ნახევარძმა დემეტრეზეც, რომლის მეექვსე თაობაც იყო ოსეთის უფლისწული დავით სოსლანი. გიორგი I-ს ხუთი შვილი და ორი ცოლი ჰყავდა (მარიამი და ალდე) და არა მხოლოდ მარიამი, როგორც ეს რომანშია წარმოდგენილი. გიორგი მეფის ზღვარგადასულ მექალთანეობას არც ერთი ისტორიული წყარო არ ადასტურებს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუკი აშოტ კურაპალატისა და სხვა მეფეების საყვარლებზე გვანდინდნენ ცნობებს ისტორიკოსები, რაღა მაინცდამაინც გიორგი I-ს დაინდობდნენ?!

ცხადია, მხატვრული ნაწარმოები უფრო კითხვადია, როცა მასში უხვადაა ცხოვრებისეული ეპიზოდები. ხოლო მწერალს, თუკი ის დიდი ხელოვანია, ყველაფერს პატიობენ, მათ შორის ისტორიული ფონის დამახინჯებასაც. ამიტომ სასურველია მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით არ შევიქმნათ წარმოდგენა ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებაზე, რადგან ლიტერატურული პერსონაჟები, როგორც წესი, ძალიან განსხვავდებიან თავიანთი ისტორიული პროტოტიპებისგან.

მკითხველისთვის ნამდვილ გამოცანას წარმოადგენს რომანის კიდევ ერთი მთავარი პერსონაჟი არსაკიძე. მართლა არსებობდა თუ არა მსგავსი ტრაგიკული



ეკა ქევანიშვილი

დროა, დავფიქრდები მის

დროა, დავფიქრდები ჩემს მოვალეობაზე.
 დროა დავფიქრდები იმაზე, რატომ არ ბზინავდა ჩემი ოჯახი.
 ნამდვილად იმიტომ, რომ ვმუშაობდი.
 ნამდვილად იმიტომ, რომ ლამაზი ვიყავი.
 ნამდვილად იმიტომ, რომ ხმამალა ვლაპარაკობდი.
 ნამდვილად იმიტომ, რომ თავი არ გავნირე.
 სიყვარული კი, რატომღაც, არ მეგონა
 ძილის წინ ხუთწუთიანი სექსი და დიდი
 სუპერმარკეტიდან ქმართან ერთად
 ამაყად გამოსვლა, სამოცდაათი შეკვრით.

არც ხელგადახვეული სიარული მეგონა სიყვარული,
 როცა ორსულად ვიყავი,
 არც გარემონტებული ბინა.
 არც ორი ნაბიჯით ქმრის უკან სიარული.
 იქნებ, ამიტომ ჩამოიშალა.
 დროა, დავფიქრდები ჩემს მოვალეობაზე და დავიჯერო:
 დაღლილი შეიძლება იყოს მხოლოდ ის.
 მე კი წინსაფრის ჯიბეში ვიტენო
 გაფენილი სარეცხი, ტაფაზე მიმწვარი თითი, ეჭვიანობის
 დოზები, მინაზე მიჭყლეტილი ცხვირი, ბავშვების
 პამპერსები,
 სერილის ბედნიერი ფინალები
 და ასე ვიცხოვრო —
 მოთმენით და მორჩილებით — ამაში ცუდი არაფერია.
 გააჩნია როგორ შეხედავ.
 მე კი საიდანაც არ შევხედე,
 ყველა მხრიდან იგივე გამოჩნდა.

დროა, მე ვიყო თვრამეტჯერ უფრო თბილი
 (მაგრამ არა სექსუალური),
 მაშინაც, როცა სხვისი სუნი ასდის,
 და ოჯახს, როგორც მოყვანილ მთვარეს
 — ოთხად დაკეცილი ფურცელი,
 ისე გავერჭო — დროებით სიმყარედ.
 მე ასეთი ქვეშაგები უნდა მომეწონოს.
 საერთოდ, მუდმივად ქვეშაგები უნდა მომწონდეს.
 ოთხშაბათს და პარასკევს არ უნდა მიყვარდეს,
 თუ შემთხვევით მთვრალმა ხელი არ მომიფათურა.
 მაგ დღეებში უნდა მოკრძალებით მოიშორო
 და ღმერთისკენ აახედო.

მან კი თქვას, ჩემი ცოლი ხარ, ღმერთს ვინ ეკითხება.
 მერე კი სანთლები დავანთოთ. სიყვარული მოვინანიოთ.
 დროა, ბედნიერი ვიყო თავგანწირვით,
 რადგან მე, ღმერთმა, თუ მაინცდამაინც ამას დავუშვებთ,
 მომცა ძუძუები და საშო.
 მას კი უფრო აღმატებული ორგანოები.
 დროა, თავი ვცე მათ, რომ გავმრავლდე.
 დროა დავბანო ფეხები,
 და არასოდეს გამეპაროს თვალი უფრო ზემოთ.
 და ვხედავდე ტერფიდან მუხლამდე და მკერდიდან
 შუბლამდე.

დანარჩენი სხეული სიბნელეში უნდა დავინახო.
 დროა ამ სხეულზე ამოსული ჩემი თავი
 გველშაპავით მომაჭრას,
 რადგან თურმე ვერ ვეტივი.
 დროა ის იყოს მთავარი და მოიტანოს ფული.
 მე კი ყოველდღე გავეწოდო სია — დღეს გვიანდა პური,
 მაიონეზი, ზეთი, მწვანილი.
 და სიის ბოლოს მოკრძალებით მივანერო:
 ჰიგიენური საფენი.
 და ამით ვიყო ბედნიერი.
 ალბათ, დროა.

მაგრამ მე მახსოვს:

ერთხელ, კაცმა მართლა დამბანა ფეხები და
 მე მას ვუყვარდი.
 ერთხელ მე ჩემს კაცს მართლა დავბანე ფეხები

და მე ის მიყვარდა.
 მაგ დროს არცერთს არ გვახსოვდა საღვთო წერილი.
 მაგ დროს არც ერთს არ გვახსოვდა
 რომელიღაც დეკლარაცია.

და ჩვენ გვექონდა
 ორი სხეული.
 ორი თავი.
 შესაბამისად, ოთხი ფეხი და ოთხი ხელი.
 და ვეტივოდით.

რა ქნან მეტი ადამიანებმა

რა ქნან მეტი ადამიანებმა,
 მეტი მათ არაფერი შეუძლიათ.
 ერთხელ შეუძლიათ და მორჩა.

ერთხელ უნდა მოხდეს ყველაფერი,
 სიყვარული. ფული. შვილი. ბინა. მანქანა.
 ეს ყველაფერი, ლეგალურად, ერთხელ უნდა მოხდეს:
 ორასკაციანი ქორწილები და დადგმული ფოტოები.
 ცხრა თვის შემდეგ ვარსკვლავებიჭუნები
 და თოფის სროლები,
 პრინცესები და ყურის ანეგები.
 ეს უნდა მოხდეს მამრის ბიუროებში. ქორწინების სახლებში.
 მათზე შემომდგარ ეკლესიებში.
 ყველას თვალწინ გაცვლილი ბეჭდებით.
 ყველას თვალწინ გამოფენილი ზენრებით.
 ყველას თვალწინ დაღვნილი თეფშებით.
 ეს უნდა მოხდეს აუცილებლად ქალს და კაცს შორის.
 ეს უნდა მოხდეს დედამთილების, დედების, შორეული
 ნათესავების ჩარევით.

დანარჩენი ყველაფერი არ შეიძლება.
 დანარჩენი ყველაფერი — უნესობა.

რა ქნან კაცებმა,
 რომლებიც ჯიუტად ცხოვრობენ ცოლებთან
 და წუნუნებენ სხვებთან —
 მე ისინი მასევე დიანებენ.
 რა ქნან ქალებმა, რომლებიც შეხვდნენ ასეთ კაცებს,
 დაბრმავდნენ და მოითმინეს ისინი —
 მე ისინიც მასევე დიანებენ.
 რა ქნას ჩემმა ლესბოსელმა გოგონამ,
 რომელსაც ვუყვარვარ.

და უკვე მესმის მისი სიყვარული.
 რა ქნას ჩემმა გვი ბიჭმა — ჯერ არ იცის, რომ მიყვარს.
 და უკვე ვიცი მისი სიყვარულიც.
 რა ქნან სხვებმა,
 რომლებსაც სურთ ერთად ყოფნა ღიად
 და მაინც იმალებიან
 უცხო ქვეყნების სასტუმროებში და კაფეებში და ბარებში.
 რა ქნან მათ, ვინც წესები დაარღვიეს.
 მათ ასე შეუძლიათ და მორჩა.

რა ქნან კეთილმა ლიბერალებმა,
 ინტელექტუალმა სნობებმა,
 შტერმა ნაციონალისტებმა,
 გოიმმა პატრიოტებმა.
 ან — გოიმმა სნობებმა, ინტელექტუალმა ლიბერალებმა...
 მოკლედ, როგორც გენებოთ, დაყავით.

რა ქნან მათ, რომლებმაც მოირგეს ადგილები.
 რომლებსაც მოეწონათ საკუთარი ხმა მიკროფონში
 და სახეები ტელეეკრანზე.
 რა ქნან სოციალური პროგრამების მამებმა,
 რომლებმაც დაისვენეს მაიაშიზე.
 და ეს შეიძლება.
 რა ქნან მდიდრებმა, რომლებიც მუდმივად წუნუნებენ

და ესეც შეიძლება.
 რა ქნან ლარიბებმა, რომლებიც დარჩნენ ყინვაში,
 მათზე კი გულამოსკენით მოგვითხრეს
 უტენო ჟურნალისტებმა.
 რა ქნან უიმედო მომიტინგეებმა,
 რომლებიც წამოწვევენ სკვერებში
 და არ დაიბანეს ცხრა დღე.
 მათზეც ზიზლით მოგვითხრეს უტენო ჟურნალისტებმა.

რა ქნან მეტი ადამიანებმა.
 ეტყობა, მეტი არც არაფერი სჭირდებათ.

რა ვქნათ ჩვენ.
 ვინც ყველაფერი ერთად და ბევრჯერ მოვინდომეთ.

თავიდან დაწყება

პირველი სახლი ჩალის იყო
 და გამუდმებით ნიავედებოდა.
 მე ეს სახლი ნახევარ დღეში ავაშენე — გაზაფხულზე,
 როცა ზამთარი ფეხზე მეკიდა.
 შემოდგომაზე — ქარმა წაიღო.

მეორე სახლი დავდგი მაშინ,
 როცა მეგონა გავიზარდე და ხის ტოტების მოგროვება
 ჩემით შემეძლო.
 როცა მეგონა — არ დაანგრევს ხის სახლს მინისძვრა.
 ქარი ხის სახლს არ ააფრიალებს.
 მაშინაც არც შემშინებია.
 არ ვდარდობდი,
 მოწულ კედლებში სინათლე თუ შემოატანდა,
 სიყვარულის აურზაური გარეთ ვინმეს თუ შეაწუხებდა.
 აქაც უბრალო დაუდევრობით
 ამოვავდე ღმერთი, ზამთარი, მეზობლები,
 ნათესაობა, შიში, სირცხვილი.
 მე ჩემთვის და შენთვის ვცხოვრობდი.
 ჩუმად,
 უნესოდ.
 დღემდე არ მაქვს ზუსტი პასუხი — რატომ დაშალე.
 კადრად დამრჩი — ილიაში ამოჩრილი
 სახლის ერთ-ერთი მონწილე კედლით, როგორ მიდისხარ.

მესამე სახლის აშენება დავიწყე გულში.
 ღრმა ფუნდამენტი,
 კედლები — ტვინში ამოვიყვანე და მოგანოდე
 გადასახურად.

ახლა ვდგავართ ხრიოკ მინდორზე,
 ერთმანეთისგან ზურგებით და
 მონიშნული წერტილიდან ოც ნაბიჯს ვზომავეთ.
 მინა გვეყოფის.
 არც მგლის,
 არც ხალხის არ გვეშინია.

მე საქმე მაქვს, საქმე...

მე საქმე მაქვს, საქმე. მე იმდენი საქმე მაქვს,
 ჩემო პანანინა მრევლო,
 ჩემო ყურმოჭრილო მრევლო,
 ჩემო ცხვარო მრევლო,
 რამდენი პატიმარიც ზის თითო საკანში საქართველოში.
 მე საქმე მაქვს, საქმე, მე ამ საქმეს ვერ გადავდებ,
 ამ საქმეზე უნდა წამოვწვე, წამოვკოტრივალდე,
 ამ საქმეს ხელები უნდა შემოვხვიო და ჩავბლუჯო
 და ხანდახან შიგნითაც შევძვრე და გადავიფარო
 — იქ სიტბოა.

მე საქმე მაქვს, საქმე,
 ზეთი უნდა მივიღო-მოვიღვით,
 სამოთხეს დაგვირდეთ,
 თქვენ კი არ მკითხოთ, რა საქმეა ეს, ამისთანა,
 გადაუდებელი.

მე უნდა მოვიწოდოთ, მშვიდად იძინოთ
 ფუმფულა ბალიშებზე

და არ ჩაგესმოდეთ
 „სტუდენტები არ მოდიან???
 სტუდენტები არ მოდიან???“
 მე საქმე მაქვს, საქმე,
 მე ლამაზი და მსუქანი საქმე მაქვს
 და ის არასოდეს არის ნანანამები.
 და მას არასოდეს შია.
 გასდის ერბო.
 მას აქვს მწვანე გუმბათი და იისფერი საკურთხეველი
 და არ ჰგავს ადრინდელ საქმეებს.
 მე საქმე მაქვს, საქმე
 და ამიტომაც სახლში უნდა წავიდე და წამოვწვე
 და საქმით გავერთო.
 არ შემანუხოთ.

აკითხვები კახა თოლორდავა

„უცნობი მუსიკა“ — ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ხარისხიან მუსიკას, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რომ იქმნება, შექმნის და გავრცელდება, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში აქცევს და დაინტერესებული მსმენლისთვის ხელმისაწვდომს ხდის. გადაცემის ავტორსა და წამყვანს საზოგადოება არაერთი სხვა წარმატებული პროექტიდანაც იცნობს. საუბარი კახა თოლორდავასთან სწორედ ამ პროექტებით დაიწყო.

— ინტერვიუს მთავარი თემა ლიტერატურაა, კარგ ლიტერატურას კი ბევრი აქვს საერთო იმ მუსიკასთან, რომელსაც თქვენ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, მაყურებელს სთავაზობთ. საერთო აქვთ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი მუსიკა არ იქმნება ფართო მომხმარებლისთვის, არ არის მასკულტურის ნაწილი და, ისე როგორც ყველაფერ ხარისხიანს, მის აღმოჩენასაც გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. მიაშობთ თქვენს ტელეპროექტზე, მის მიზნებზე.

— ყველაფერი ტელეპროექტამდე ბევრად ადრე დაიწყო. ერთ დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოპროდიუსერი ნიკა ცერცვაძე დამიკავშირდა და გადაცემის გაკეთება შემომთავაზა. მსმენლისთვის მუსიკის მისაწოდებლად რადიო ყველაზე ინტიმური მედიუმი. ამიტომ ეს კარგი საჩუქარი აღმოჩნდა ჩემთვის. მას მერე სამი წელია, ყოველ შაბათს გადაცემა „უცნობი მუსიკა“ FM102.4-ზე მიმყავს.

მოგვიანებით ტელეპროდიუსერებმა იმავე სახის ტელეპროექტის განხორციელება მოინდინეს. დიალოგის ფორმატი ბევრად საინტერესოს გახდოდა გადაცემას, ამიტომ გულმოდგინედ ვეძებდი თანანამყვანს. რთულია მოამზადო გადაცემა მუსიკაზე, როცა შენს გვერდით მუსიკოსები არ სხედან, თუმცა მათი უმეტესობა მუსიკალური სენტენციების ჯეროვან არტიკულირებას ნაკლებად ახერხებს და საუბრის მოსმენა მსმენლისთვის მოსაწყენი ხდება. შემდეგ გია ხაღურს შევხვდი. იმთავითვე შევთანხმდით, რომ ეს არ იქნებოდა ერთგვარად ქედმაღლური გადაცემა, ჩვენ უბრალოდ ვიქნებოდით მუსიკის „ვირუსის“ გადამდებნი.

დალზე შრომატევადი სამუშაოა. თითოეული გადაცემისთვის სამი-ოთხი კვირა ვეშვადებით. მართალი გითხრათ, ხელს გვიშლის ცოდნა, რადგანაც გვინდა, გადაცემაში ყველაფერი ჩავტვითოთ, ეს კი შეუძლებელია. ახლახან ბობ დილანზე ზედიზედ ორი გადაცემა ჩავწერეთ, სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო, გესაუბრა დამიანზე, რომელიც ერთდროულად არის მუსიკოსი, მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი.

— თქვენი გადაცემის მეშვეობით „ვირუსი“ ბევრ ისეთ ადამიანს გადაედო, იქამდე შორს რომ იყო მუსიკასთან, ბევრმა მისთვის „უცნობი“ მუსიკა აღმოაჩინა.

— ასეა. ხარისხიანი მუსიკის მოძებნა ვირტუალურ სივრცეში სულ უფრო გაძნელდა. ამიტომაც ახალგაზრდები „ყურისცეცებით“ ეძებენ ახალ მუსიკას. ეს მდგომარეობა მეც გამოვლილი მაქვს. უბრალოდ სხვა სივრცეში, სხვა კონტექსტში მიწვევა ძებნა. საბჭოთა პერიოდში „უცნობი“ მუსიკას ძნელად თუ მიაკვლევდი, დისკები არ იყიდებოდა, თუ ვინმეს ჰქონდა — ლამის მთელი თბილისი მასთან იყრბოდა. ჩვენი გადაცემა იმისთვის არსებობს, მსმენელს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიკარგული მუსიკის მოძებნაში დაეხმაროს. თუ მსმენელი დაინტერესდება, შემდეგ თავად გააგრძელებს „მოგზაუ-

რობას“.

— გადაცემაში, რომელიც ბობ დილანს მიეძღვნა, საუბარი იყო იმაზეც, თუ როგორი გავლენა იქონია ამ მუსიკოსმა ჯონ ლენონზე. ალბათ, არ არსებობს ხელოვანი, რომელმაც თავისი შემოქმედება, სხვადასხვა დროს, ასეთი „გავლენებით“ არ ასაზრდოვა.

— გავლენები გარდაუვალია და ვფიქრობ, ბუნებრივია იმ ადამიანისთვის, რომელიც ქმნის, ან შექმნას აპირებს. მთავარია, მან ამ გავლენის გადაზრება, ათვისება მოახერხოს. იმ გადაცემაში გია ხაღურსაც ფაქტობრივად ჩრდილში ისაუბრა დილანის ფაქტობრივ ლენონის შემოქმედებაში. დილანის სიმღერების მოსმენის შემდეგ ლენონი სხვა, ახალ თემებზე დაფიქრდა, ახალი ინტერესის ველ-

ში მოექცა. კარგი ნიგნიც ხომ ასე ზემოქმედებს ადამიანზე?! ის ყოველთვის გიბიძგებს რაღაცის შექმნისკენ. ცხადია იმ შემთხვევაში, თუ მარტო მკითხველის მდგომარეობაში კი არ ხარ, არამედ რაღაცის შექმნის სურვილი გაქვს. ცდილობ, გარკვეული გავლენები შენებურად გარდაქმნა, გაითავისო და უკვე სხვა სახით დაუბრუნო სამყაროს. კარგი ლიტერატურა სულში გწვდება, გასწავლის, როგორ განმარტოვდე საკუთარ თავთან. კითხვა არავითარ შემთხვევაში არ არის მონოლოგის მდგომარეობა, ნიგნი დიალოგისკენ იწვევს ადამიანს, თუმცა რამდენად შედეგა ეს დიალოგი, მეტწილად, მკითხველზე დამოკიდებულია.

— ნიგნში, რომელიც 2009 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ თქვენი ავტორობით გამოსცა, თავმოყრილია ინტერვიუები ცნობილ ჯაზმენებთან. „საუბრები ჯაზზე“ დაჯილდოვებულია ლიტერატურული პრემიით „გალა“. ნიგნის მთავარი ღირებულება ის არის, რომ მკითხველს, თვრამეტი ჯაზმენის მუსიკალური გამოცდილების გაცნობის მიღმა, საშუალება აქვს თვალის მიადევნოს გზას, რომელმაც დიდ მუსიკოსებს საკუთარი თავი აღმოაჩინა. უამისოდ, ვფიქრობ, წამდელი ხელოვნება არ იქმნება. როგორც ვიცი, ამ მასალის მოგროვებას რვა წელი დასჭირდა.

— 2003 წელს ჩემმა მეგობარმა, ხათუნა კერესელიძემ, რომელიც ერთ-ერთი პერიოდული გამოცემის მთავარი რედაქტორი გახლდათ, შემომთავაზა ინტერვიუ ტრილოკ გურტუსთან. ცნობილი ინდოელი მუსიკოსი, „ისთერ პრომოუშენის“ მოწვევით, იმხანად თბილისში იმყოფებოდა. დაველაპარაკები-მეთქი, ვუთხარი.

— არ ნერვიულობდით?

— მაშინ ორმოცს ვიყავი გადაცილებული. იქამდე წლების განმავლობაში ინტენსიურად ვუსმენდი ამ მუსიკოსს. ამიტომ შემოთავაზებისთანავე მასთან შეხვედრის მზადყოფნა გამოვხატე. მასსოვს, ჩემს წინ რომ ჩამოვჯდა, პირველივე წუთიდან ჩვენ შორის საერთო ველი, გარკვეული კავშირი გაჩნდა და საუბარი დაიწყო. ხშირად უკითხავთ, მსგავსი შესაძლებლობა გაცილებით ადრე რომ მოგცემოდა, როგორ მოიქცეოდით. ალბათ, ოცი წლის რომ ვყოფილიყავი, ასეთი რანგის მუსიკოსთან შეხვედრა დამაფრთხობდა.

მუსიკოსებისთვის დრო ძვირფასია. ისინი დაუსრულებლად დაფრინავენ ქალაქიდან ქალაქში, „ჩემოდნებზე სხედან“ და მობეზრებული აქვთ ინტერვიუები ჟურ-

ნალისტებთან, რომლებიც, მოუზადებელი, ზედაპირულ შეკითხვებს უსვამენ. ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია, მუსიკოსებმა იგრძნონ, რომ მე მათ დროს ტყუილ-უბრალოდ არ ვკარგავ. იქიდან მოყოლებული დღემდე, ამ ადამიანებთან საუბრისას, ჩემთვის მთავარია შეკითხვების სწორად არტიკულირება, ისეთი კითხვების დასმა, რომელიც სხვისგან არ მოუსმენიათ. ვცდილობ, შესაძლებლობა მივცე ისაუბრონ იმაზე, რაც აქამდე არ უთქვამთ. ინტერვიუსთვის რომ მოვემზადო, სულ ცოტა, ოთხი-ხუთი თვე მჭირდება. ეს ნიშნავს, ვუსმინო ძალიან ბევრს და ვიკითხო ძალიან ბევრი. პირდაპირ გეტყვით, ისინი აფასებენ ამას.

— განათლებით ვინ ბრძანდებით?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. ჩვენი კურსი 1984 წლის ერთ-ერთი საუკეთესო „გამოშვება“ იყო. მინდა გითხრათ, ძალიან გამომართლა პედაგოგებში. ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკო ყიასაშვილი თითქმის მთელი სემესტრი გვიკითხავდა „ულისეს“. ჯეიმს ჯოისის ცნობიერების ნაკადს ბატონ ნიკოზე უკეთ ძნელად თუ ვინმე გვაზიარებდა. ვისმენდით მიხეილ კვესელავას ლექციებსაც. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა „პოეტური ინტე-

გრალები“, რომელიც გალაკტიონის პოეზიის ძირითად ტენდენციებს მიუძღვნა და მუშაობას იწყებდა ნიგნზე XX საუკუნის მისტიკოსისა და ფილოსოფოსის, გიორგი გურჯიევის შესახებ. კარგად მახსოვს, ჩემი თხოვნით გვიკითხავდა კიდევ ნაწყვეტებს ჯერ კიდევ დაუსრულებელი ნაშრომიდან.

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ დაახლოებით იმ რანგის ლიტერატურას კითხულობთ, როგორც მუსიკასაც უსმენთ, ისეთი ავტორები მოგწონთ, რომელთა შემოქმედება ღრმა შინაგან გამოცდილებას ირეკლავს. ფართო მკითხველი ასეთ ტექსტებს „მძიმეს“ უწოდებს.

— მალიზიანებს და ვერ ვხვდები რას გულისმობენ, როცა ამა თუ იმ ფილმზე, მუსიკასა თუ ნიგნზე, მძიმე არისო, ამბობენ. თუ ნაწარმოები საინტერესოა, სიმძიმის განცდა უცხოა ჩემთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, საკუთარი თავი დაინტერესების ველში ვამყოფო. არის ტექსტები, რომელსაც ვიცნობ, ან თავისით მცოდნება, შემდეგ ახალი ინტერესების ველში ვექცევი. უკანასკნელი შვიდი-რვა წელიწადია, ძირითადად, პოლიტიკურ ლიტერატურას ვეცნობი. ჩემ გარშემო გარკვეული პროცესები მიმდინარეობს. პირველადი შემეცნებით — ამ ქვეყნის მოქალაქის მდგომარეობით, მოვლენების ინტერპრეტაციას, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ვახერხებ, მაგრამ ხშირად ეს საკმარისი არაა. ჩვენ ვიმყოფებით იმ სივრცეში, სადაც ადამიანებს ლიბერალურ-დემოკრატიულ პირობებში ცხოვრების გამოცდილება არ გააჩნიათ. შესაბამისად ვთვლი, რომ მეორადი შემეცნება, ანუ პოლიტიკური ლიტერატურის კითხვა აუცილებელი ხდება. ამ ინტერესს მთელი რიგი ავტორებისკენ მივყავარ, მათგან „ვისმენ“ გამოცდილი, ძალზე სერიოზულ რეკომენდაციებს სახელმწიფოს შექმნის, მისი ფუნქციის, დანიშნულების შესახებ. რაკი მაინტერესებს, იძულებული ვარ გავერკვე კიდევ. ეს ერთგვარი შრომაა, რომლის დროსაც პირველ რიგში ეხები ფილოსოფიურ ლიტერატურას და შემდეგ — პოლიტიკურს.

ჩემს „ქინდლი“ ასზე მეტი ავტორია. მათ შორის არის ავსტრიელი მწერალი იოზეფ როტი, „რადეცის მარშის“ ავტორი. ბოლო დროს მისი ტექსტების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს მაქვს. აქვეა კაკა კასაბოვა, ბულგარელი წარმოშობის ახალზელანდიელი პოეტი, მწერალი, რომლის ნიგნმა „Twelve Minutes of Love: a tango story“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახინა ჩემზე.

გულგრილი ვერ დავრჩი მუსიკოსისა და კომპოზიტორის, ჯგუფ „Talking Heads“-ის ყოფილი ლიდერის, დევიდ ბერნის ნიგნის მიმართაც. „ველოსიპედისტი დღიურები“ სამი წლის წინ გამოიცა. ცხადია, ინტენსიურად ვკითხულობ ლიტერატურას მუსიკის შესახებ. „ქინდლის“ საშუალებითვე გავეცანი დევიდ ბერნის სრულიად ახალ ნიგნს, რომლის სახელწოდებაც დაახლოებით ასე ჟღერს: „როგორ მუშაობს მუსიკა“.



გავისხენებ ელის მუნროს, რომელსაც მოკლე მხატვრული ფორმების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დახვეწილ ავტორად მივიჩნევ. მუნროს ავტორია, პროზისკენ რომ მიმაბრუნა. ამ ჟანრის ლიტერატურას, მართალი გითხრათ, მოუცლებლობის გამო ვეღარ ვკითხულობდი.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ავტორებისა, ჩემი ინტერესის ველში რომ მოექცნენ. ჩემი ინტერესების რუკა საკმაოდ ფართოა და „რთულ“ ტერმინებსაც მოიცავს.

— „ქინდლი“ საუკეთესო საშუალებაა, მსოფლიოში მიმდინარე კულტურულ თუ სამეცნიერო პროცესებს მიაღწეოთ თვალი და ახალ-ახალი „ინტერესის ველები“ შეიქმნა. თუმცა მკითხველთა ერთი ნაწილი თანამედროვე ელექტრონულ საკითხავს არ სცნობს, ბექდურ ნიგნებს, ძველ ავტორებს ამჯობინებს.

— ეს ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ცოტა ხნის წინ ფრანსუა რაბლეს გადაკითხვა მომინდა, წელიწადში ერთხელ აუცილებლად ვუბრუნდები ხოლმე ჰერმან მელვილის „მობი დიკს“. მკითხველს თავის ძველ ნიგნებთან მიბრუნება რომ უნდება, ეს ძალიან ბუნებრივი სურვილი მგონია.

დასასრული მე-16 გვერდზე



კახა თოლორდავა:

„ჯონის კაუჭივით აღმოჩნდა“

დასასრული

— საინტერესოა თქვენი აზრი ქართული მწერლობის შესახებ.

— ქართული ლიტერატურა არსებობს იმ სახით, რა სახეც მას აქვს. არ შემიძლია შევადარო, ეს კარგია თუ ცუდი. ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ჩვენ გარშემო ძალიან ბევრი ნიჭიერი მწერალია. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ გლობალური მნიშვნელობა ვერ შეიძინა, ჩვენ ვერაფრით დავაინტერესეთ დანარჩენი სამყარო იმ რეალობით, რომელშიც ვცხ-

ვობთ. ქართული ლიტერატურის, ისე როგორც მთლიანად, ქართული კულტურის ძირითადი პრობლემა ალბათ ეს არის. მაგალითად, კითხულობ ორჰან ფამუქის რომანს „მე ნიითელი მქვია“ და უცაბედად მის კულტურულ სივრცეში ექცევი, უყურებ ნური ბილგე ჯეილანის ფილმს „ერთხელ ანატოლიაში“ და წარმოუდგენელი, ღრმად „თურქული“ შთაბეჭდილების ქვეშ ხარ. ყოველი ასეთი შემთხვევის მერე ხვდები, რომ მათ მოგყიდეს ის რეალობა, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობენ. კუბელმა მწერალმა ალექსი კარპენტიერმა

სწორად თქვა, მკითხველს იმ რეალობის ნაწილს ვთავაზობთ, რომელ რეალობაშიც ჩვენ გავიზარდეთ. ამიტომაც იმოქმედა ასე ლათინოამერიკულმა ლიტერატურამ უცხოენოვან მკითხველზე. მგონია, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ ეს ვერ მოვახერხებთ.

— სიყმაწვილეში ალბათ არაერთი ლიტერატურული გატაცება გქონიათ. ახლა ნებისმიერი წიგნი ხელმისაწვდომია, თუმცა გვახსოვს დრო, როცა მკითხველისთვის არჩევანი ძალზე მწირი იყო.

— კარგად მახსოვს ის განცდა, როცა ჩვიდმეტი წლისამ პირველად წავიკითხე „ულისე“. ნიკო ყიასაშვილის თარგმანი, რომელიც „საუნჯეში“ იბეჭდებოდა. წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მსგავსი რამ არასოდეს წამეკითხა. როცა იმ ასაკში „ულისეს“ ეხები, ან მამ-

ინვე ანებებ თავს, გარბიხარ წიგნისგან, ან პირიქით, მისი კულტურული სივრცის „მონა“ ხდები. ჩემთვის ჯოისი კაუჭივით აღმოჩნდა.

გარე სამყარო სრულიად არაფერს ვთავაზობდა, ის ჩაკეტილი იყო ჩვენთვის. რაღაცები ფრაგმენტულად მოდიოდა ჩვენამდე. საკუთარი ხელით მაქვს გადაწერილი დანიელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის სერენ კიერკეგორის „ან-ან“, ალბერ კამიუს ლექცია, ნობელის პრემიის მიღებისას რომ წაიკითხა. კიდევ არაერთი ხელით ნაწერი წიგნი მიდევს სახლში

მეორე მხრივ, სულ მგონია, რომ წიგნისადმი, შეიძლება ითქვას, ოდნავ არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ, „დათუფრი სამსახური“ გაგვიჩინა, ცოდნის ილუზია გაგვიჩინა. ქართველებს ხშირად გვემართება ასე — რომოცდაათი წიგნის წაკითხვის შემდეგ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ განათლებულები ვართ. თუკი ადამიანი ვერ მოიხმარს წაკითხულს, ვერ აითვისებს მას, ვერ გამოიმუშავებს წიგნთან, ან თანამოსაუბრესთან დიალოგის სურვილს, დიალოგის კულტურას — მას თავმონონებალა რჩება. ჩვენს გარშემო ამის უამრავი მაგალითია.

ჩემი აზრით აუცილებელი არ არის — და ამ თემაზე ხშირად მიკამათია — ყველამ იკითხოს დოსტოევსკი, დანტე. უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიისგან, რომ ვინც კითხულობს, ის აუცილებლად განათლებულია. ერთი, იყო წაკითხი, სხვა — განათლებული. არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც ბევრი იმუშავეს საკუთარ თავზე, მზერა შიგნით ჩაიბრუნეს და ბევრს მიაღწიეს ისე, რომ ერთი წიგნიც არ წაუკითხავთ.

ესაუბრა თამარ ჟურული



ნინო ქაჯაია:

„იქ, სადაც ყოველთვის გელიან“

დასასრული

ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის. შევადური ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც ყოველთვის გელიან და შენი ნახვა ყოველთვის უხარიათ; შენი ყოველთვის ესმით და მზად არიან, დაგეხმარონ — რაშიც გინდა. დამეთანხმებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, და ასეთი ადამიანების რჩევებსაც სხვა ფასი აქვს.

— სამწუხაროდ, დღეს ჩვენთან ასეთი გარემო არ არსებობს. იმ თითზე ჩამოსათვლელ ბიბლიოთეკებში, სადაც სპეციალურად ბავშვებისთვის მოწყობილი კუთხეებია, წიგნით ხელში ჩამომსხდარი პატარები არ მინახავს. ეს ყველაფერი უფრო დეკორაციას ჰგავს.

— სხვათაშორის, როდესაც შევდური ტიპის ბიბლიოთეკის გახსნაზე ვფიქრობდით, ერთ-ერთ ვარიანტად მწერალთა სახლს განვიხილავდით, მაგრამ უარი ვთქვით იმ მიზეზით, რომ იქ პატარების ალიაქოტის შეიძლება პრობლემები შეექმნა. ბავშვებს ისეთი სივრცე სჭირდებათ, რომელიც მხოლოდ მათი იქნება და არავინ არაფერს აუკრძალავს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ამ მხრივ ყველაზე მისაღები აღმოჩნდა — ბავშვები იქ ისედაც დადიან და სპეციალური გარემოს შექმნა არ გჭირდება, მაგრამ მომდევნო ეტაპისთვის ძალიან კარგი იქნება, ასეთი ბიბლიოთეკა დამოუკიდებელ სივრცეში გაკეთდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ინტერიერიც. ჩვენთვის, უფროსი თაობის მკითხველებისთვის, წიგნის ძველ კარადებს თავისი სიმყუდროვე და ხიბლი აქვს, მაგრამ ბავშვებისთვის ეს უინტერესოა. მას ნათელი ფერები და მხიარული გარემო სჭირდება, რაც კარგად იციან შევდურ ბიბლიოთეკებში. განსაკუთრებით მომწონს ის, რომ ნებისმიერ მათგანში არის კუთხეები, სადაც შეგიძლია განცალკევდე და იკითხო.

— რას კითხულობენ შვედი თინეიჯერები?

— ძირითადად ფენტეზის. ქართველი თანატოლების მსგავსად, დინამიური სიუჟეტი იზიდავთ. ძალიან პოპულარულია სტივ ლარსონის რომანები, სტეფანი მეიერის საგა — „ბინდი“. უფრო ამ ტიპის ლიტერატურით არიან გატაცებული, თუმცა უფროსებს ეს არ ალღევებთ, მათი აზრით, მთავარია, ბავშვმა წიგნის გემო გაიგოს, და მერე აუცილებლად მივა კარგ ლიტერატურამდეც.

— ანუ ჩვენთან ასე პოპულარული სიები და ჩამონათვალები, ბავშვმა რა ასაკში რომელი წიგნები უნდა წაიკითხოს, აქტივალური არ არის?

— არა, რადგან მათთვის კითხვა არ არის ვალდებულება, კითხვა სიამოვნებაა. უფროსები არ მიიჩნევენ, რომ 9-10 წლის ბავშვმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს უიულ ვერნის რომანები, მერე მაინ რდი

მიაცილოს და ასე შემდეგ... ბავშვმა უნდა იკითხოს ის, რაც აინტერესებს და სიამოვნებს.

— ჩვენს შემთხვევაში დიდია მენტალობის გავლენაც, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და სწორედ ამ საყოველთაოდ წასაკითხი წიგნების სიას ამკვიდრებდა. ცუდი არაფერია, როდესაც ცდილობ, ბავშვს მცირე ასაკიდან ასწავლო, რა არის კარგი ლიტერატურა, თუმცა უფროსებს ხშირად გვაინყვება, რომ დრო იცვლება, იცვლება გემოვნებაც და დღევანდელი თაობისთვის ბევრი რამ, რაც ჩვენ და ჩვენს მშობლებს მოგვწონდა, შეიძლება სულაც არ იყოს საინტერესო, თუნდაც უიულ ვერნის რომანების ცოტათი განვლილი დინამიკა. თუმცა არიან საბავშვო ავტორები, იგივე ასტრიდ ლინდგრენი, რომლის ნაწერებსაც ნებისმიერი ეროვნებისა და ასაკის მოზარდი სიამოვნებით კითხულობს.



— და არა მარტო მოზარდი... მეც ძალიან მიყვარს „ბიულერბიუელი ბავშვები“ და „ემილი“. სხვათა შორის, ვიყავით ასტრიდ ლინდგრენის მუზეუმში, „ოუნიბაკენში“, რომლის ნახვაზეც ყველა ბავშვი ოცნებობს. ეს არის ლინდგრენისა და სხვა საბავშვო მწერლების პერსონაჟებით დასახლებული მინიატურული ზღაპრული სამყარო, სადაც არის ყველაფერი, რაც წიგნებში ასე გვიზიდავს: კარლსონის სახლი, ზუსტად ისეთივე არეულ-დარეული, როგორც წარმოგვიდგენია; პეპის სახლი; ხის პატარა ფიგურებით სავსე ოთახი, სადაც დასჯილ ემილის ამწყვევდა მამამისი; ფლაგშტოკზე დაკიდებული დაიკო იდა... უამრავი სცენაა გაცოცხლებული. აქვეა პატარა კაფეც, სადაც პეპის მაჭკაკებთა და კარლსონის გუფთებით გაგვიმასპინძლებდნენ. საოცარი ადგილია.

— კარგია, როცა ადამიანებს აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, დააფასონ საკუთარი მწერლები.

— ჩემი აზრით, სურვილი უფრო მნიშვნელოვანია. ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ როდესაც ბიბლიოთეკის გაკეთება გადაწყვიტეს, მაინცდამაინც ბევრი ფული არ ჰქონდათ, თუმცა კრეატიულობის ხარჯზე საინტერესო შედეგს მიაღწიეს — განაახლეს ძველი ავეჯი, გადააკრეს ფერადი ქსოვილი, თაროებზე ხის ყუთები გამოიყენეს, და მშვენიერი ბიბლიოთეკა გამოუვიდათ. ანუ აქ მთავარია მენტალობა და სურვილი, რაღაც გააკეთო. შექმნა გარემო, სადაც დიდსაც და პატარასაც ერთნაირად მოუნდება კითხვა. ამ შემთხვევაში შევდებისთვის პრიორიტეტული ბავშვია, რადგან წიგნის სიყვარული პატარაობიდან იწყება. ეს ისეთი სენია, ერთხელ თუ შეგეყარა, ვეღარ მოიშორებ. ამიტომაც უფროსიან ამ ქვეყანაში ვალდებულებებს და ამბობენ, რომ არ არის საჭირო იძულება. კითხვა სახალისო უნდა იყოს. წაიკითხოს ბავშვმა ის, რაც თავად მოსწონს. თუ დღეს ეს „ბინდია“, ხვალ შეიძლება დიუმამ გაიტაცოს და ნელ-ნელა ლირებულ ლიტერატურამდე მივა.

ესაუბრა ნანა კობაიძე

ლიტერატურული გაზეთი
გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com